

ს.ს.ი.პ”საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომა

13 იანვარი, 2010 წელი

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ.№75

სხდომის დაწყების დრო: 19:30 წუთი

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:

ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე) ქეთევან ბექაური, იოსებ ბარათაშვილი, ბესარიონ აბაშიძე, ზვიად კორძაძე, მალხაზ ჯანგირაშვილი, გოჩა სვანიძე, ცისმარი ონიანი, იმედა დვალიძე, ნოდარ ფეიქრიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” წევრთა ერთიან სიაში ახალი წევრების მიღების შესახებ.
2. აღმასრულებელი საბჭოს წევრობის დამადასტურებელი პლასტიკური ბარათების დამზადების შესახებ.
3. ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” წევრებისათვის საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის ფორმის შეცვლის შესახებ.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული უარყოფითი პასუხის გასაჩივრების შესახებ.
5. სხვა მიმდინარე საკითხები

გ ა დ ა წ ყ დ ა

რომ, 26 კანდიდატი მიღებულ იქნას ასოციაციის წევრად. სხდომაზე აღინიშნა, რომ გაწევრიანების პროცედურა არის საბჭოს პრეროგატივა, ხოლო მოწმობის დაკარგვის ან სხვა მიზეზით შეცვლის შემთხვევაში, თავმჯდომარეს უფლება აქვს საბჭოს სხდომაზე განხილვის გარეშე გასცეს ახალი მოწმობა.

ასოციაციის თავმჯდომარემ, საბჭოს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი – აღმასრულებელი საბჭოს წევრთათვის პლასტიკური ბარათების დამზადების შესახებ. პლასტიკური მოწმობისთვის საჭირო თანხა გამოიყოფა თავმჯდომარის კუთვნილი სახელფასო ფონდიდან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭომ მოისმინა ბ-ნ ზ. ხატიაშვილის მოსაზრება და აზრთა სხვადასხვაობის გამო, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. ზვიად კორძაძემ დააფიქსირა მოსაზრება საბჭოს წევრებისთვის მოწმობების ნაცვლად, სავიზიტო ბარათების დამზადების შესახებ.

ასოციაციის თავმჯდომარემ წარადგინა მესამე საკითხი – საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობების შეცვლის შესახებ. საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა

**არსებული მოწმობების აუცილებლად შეცვლის გადაწყვეტილებას.** მათ იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და გამოითქვა მოსაზრებები, თუ რა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ახალ მოწმობას ვიზუალურად გაუმჯობესებული ფორმის გარდა. ზვიად კორძაძის მოსაზრების მიხედვით, აუცილებელია მოწმობას ჰქონდეს დამცავი ნიშანი, გამარტივდეს მათი გამოყენების წესი – გაუადვილდეთ ადვოკატებს შესაბამის დაწესებულებაში შესვლა; ადვოკატის ვალდებულებად შემოდებულ იქნას შემდეგი ფორმა: ადვოკატის სტატუსის განსაზღვრისათვის, სასამართლო პროცესებზე მათ ღიად ატარონ ახალი მოწმობა.

მეოთხე საკითხად საბჭომ მოისმინა აღმასრულებელი საბჭოს წევრის, გოჩა სვანიძის განცხადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული უარყოფითი პასუხის გასაჩივრების შესახებ. ს.ს.ი.პ ”საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან” თბილისის რეგიონალური ცენტრის მისამართით გაგზავნილი წერილის მიხედვით, ერთიან კოპიუტერულ ბაზაში შეტანილი უნდა ყოფილიყო შემდეგი ცვლილება: ყოფილი თავმჯდომარის კახაბერ ასლანიშვილის ნაცვლად, ხელმძღვანელ პირად დაფიქსირდეს – გოჩა სვანიძე.  
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთხმად

### **გ ა დ ა წ ყ დ ა :**

რომ, წერილზე მიღებული უარყოფითი პასუხი აუცილებლად უნდა გასაჩივრდეს.

ღღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა მიმდინარე საკითხების მიხედვით, ასოციაციის თავმჯდომარემ, ზაზა ხატიაშვილმა ასოციაციის აპარატი უცვლელი სახით წარადგინა. საბჭო დაეთანხმა თავმჯდომარის განცხადებას აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორის და ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის კოორდინატორის შტატების შეთავსების შესახებ მდივან-რეფერენტის შტატთან და განისაზღვრა აღნიშნული შტატების თანამდებობრივი სარგობები. ასევე, განიხილა აპარატის საშტატო შემადგენლობა და მიღებულ იქნა შეთანხმება, რომ არსებულ შემადგენლობაში ჯერჯერობით, ცვლილება არ შევიდეს.

საბჭოს წევრების მიერ ასევე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: აღმასრულებელი საბჭოს წევრის ზვიად კორძაძის მიერ გაკეთდა განცხადება, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის არჩევნების დროულად დანიშვნის შესახებ. გადახედილ იქნას წესდება – აკმაყოფილებენ თუ არა ეთიკის კომისიის წევრები წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და **ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება:** კრების ოქმის მიერ მიღებულ წესდებაზე დაფიქსირდეს გოჩა სვანიძის ხელმოწერა და წესდების ორიგინალი შენახულ იქნას ადვოკატთა ასოციაციის ოფისში.

ასევე, ასოციაციის თავმჯდომარის – ზაზა ხატიაშვილის მიერ დაისვა საკითხი საწევრო გადასახადთან დაკავშირებით. თავმჯდომარის განცხადების მიხედვით, სასურველია არ მოხდეს საწევრო გადაუხდელობა პირთა გარიცხვა, რასაც დაეთანხმა საბჭოს სრული შემადგენლობა. საბჭომ იმსჯელა და შეთანხმდა იმ აუცილებლობაზე, რომ დადგინდეს საწევროს გადახდის მკაცრად განსაზღვრული ვადა და ინფორმაცია განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე.

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის” თავმჯდომარე  
ზაზა ხატიაშვილი**